№ 26.

სახალხო გაზეთი

№ 26.

კვირა, 6 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

„სახალხო გაზეთის“

კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

მოვაგზავნებთ ფლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ 7 მანეთი. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც **5 მან. 50 კაპ.** ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

სახალხო გაზეთის კანტორა.

იულია მიხეილის ასული და **სვეტლანა ალექსანდრეს ასული თარროვები** ღრმა მწუხარებ თ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ქმრის, ხოლო მეორე მამის

ალექსანდრე სიკიტის ძე თაიროვისას

გამოსვენება ცხედრისა კვირას, 6 ივნისს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან დიდი მთავრის ქუჩა (ველიკოკნიაჟესკაია) № 13, საიდანაც წაასვენებენ სომეხთა წმ. ღვთისმშობლის ეკკლესიაში (მიხეილის ქ. ვორონცოვის ძეგლთან) წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ დიდუბის მართლმადიდებელთა სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე.

(2—310—2)

კონსტანტინე, თომა, ზაქარია, ლუკა და **ნიკოლოზ ლუკას ძენი მოსულიშვილები, ნინო რცხილაძე, თამარა კვეზერელი, ელენე თულაშვილი, მარიამ ბეინაკისა, ანეტა მოსულიშვილი** და **მიხაილ დათიაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფასი და დაუვიწყარი დედის, ხოლო უკანასკნელი—დის

ელისაბედ ისაკის ასულის მოსულიშვილისას

და სთხოვენ მათ მობრძანდნენ დაკრძალვაზე სამშაბათს, 8 ივნისს, დილის 10 ს. სოფ. ნუკრიანში სიღნაღის ახლოს. პანაშვიდი ყოველ დღე. (1—ნ.—1)

ნინო ყაფლანის ასული კნეინა წულუკიძისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი შვილის

ელენე დიმიტრის ასული კნეინა იმერეთინსკისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ავლაბარში ბრმების სასწავლებლის სადგომში. გამოსვენება სამშაბათს, 8 ივნისს, დილის 9 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—312—1)

ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.

(25—7)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტ(ელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვირ., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხიბოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორი. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—197)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე შოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—358)

ბალი

მუზა

მიხაილოვის პროსპექტი № 163. კუთხე ბაქრის ქ.

ყოველდღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, არის ბუფეტი და აგრეთვე აზიური და ევროპიული სამზარეულო. ბალში შესვლა უფასოა. (25—1)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—3)

კვირას, 6 ივნისს, დიდუბეში, ეკკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს,

გაიმართება კავკასიური

ჭიდაობა

წმიდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ

დღეს იჭიდავებს 7 წყვილი:

● კულა გლდანელის ●

თანადასწრებით

1. **გიორგი ჯიბგირი** და **ლადო გელაშვილი**; 2. **ლუკა იაშვილი** და **ვასო ბეკურაშვილი**; 3. **გეურქა** გლდანელის დისწული და **ისაკა მთიული**; 4. **პატარა კახელი** და **ბაგრატ თათულაშვილი**; 5. **ნიკა ტიგიშვილი** და **ნიკა ბერიძე**; 6. **შაშუა ვერელი** და **დათიკო ფუთიკაშვილი**; 7. **ბებერუა როსტიაშვილი** და **ალექსი კერესელიძე.**

ჭიდაობის მოყვარენი:

1. ამირანა კბილაშვილი და გიორგი კაზურაშვილი; 2; ვერელი თედაშვილი და კოტე კავთელი; 3. ნიკა ქვასროლია და სოლომონ ხელთუბნელი; 4. ვასო ბაღინოვი და კოლა კარდანახელი; 5. კოლა ტერტერაშვილი და სანდრო კბილაშკილი.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.

ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ. დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.**

ორშაბათს, 7 ივნისს, გაიმართება ფრანგული ჭიდაობა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქუთაისში ქ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) **სატკივარი**). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—60

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—139)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლეშჩიხ გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—451)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

განცხადებების მომკრები აგენტი

მ. ა. გაუოლნია

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში“ და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—5)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

პეტერბურგის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი **ფილოლოგი**, პედაგოგიურ სამეცნიერო წრის წევრი იყვანს ყველა კლასის მოწაფეებს. ბინა ვარდის უბნის ქუჩა, № 3. გ. მამრაძე. (3—ნ.—2)

სოფელ საღოლაშენში

ქარელის სადგურის ახლოს პატარა ოჯახისათვის ქირავდება ოთხი ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით. იქვე ბაღი, წყარო. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება „კაფე პარიზში“ სასახლის ქ. თავ.-აზნაურ. ქარვასლაში. (2—308—2)

ტფილისი, 6 ივნისი.

დღეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ უნდა განიხილოს 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვეულებრივი ინტერესი აქვს თავად-აზნაურთა დღევანდელ კრებას.

წლევანდელი შემოსავალი თითქმის 300 ათას მანეთს უდრის და ამ ფულის განაწილება, რასაკვირველია, ყველას ყურადღებას იპყრობს, მით უმეტეს ჩვენი კულტურული დაწესებულებანი და სასწავლებელნი ამ კრებიდან დიდს დახმარებას მოელიან.

წინამძღოლთა და დეპუტატთა მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა ახალს არაფერს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე თითქმის ერთხელვე შემუშავებულ გეგმით სდგება ეს ხარჯთ-აღრიცხვა. თითქოს ცხოვრებას ახალი საჭიროებანი არ წარმოეშვას, თითქოს დღევანდელი მო

ადასტურებს, რომ ყველა ეს ცნობები სიცრუეა და იმ კამპანიით აიხსნება, რომელსაც უცხოელები და რუსი გამყიდავი ელემენტები ეწევიან, რათა საზღვაო სამინისტროს მიერ დაკვეთილი საქმეები აიღონ (ტაში მარჯვნივ).

უკამათოდ მიიღეს რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი, სხვათა შორის, კრონშტადტის საკრებულო ტაძრის დასამთავრებლად 15 ათასი მანეთის გადადების შესახებ; კომისიის და საზღვაო მინისტრის თანაშემწის წინადადების თანახმად ამ ტაძრის სამახსოვრო ფიცრებზე ადმირალ მაკაროვისა და რუსეთ-იაპონიის ომში სასიქადულოდ დაღუპულ გმირ მეზღვაურების სახელები იქნება აღბეჭდილი.

სისწრაფის წეს-რიგით ს.-დ. შეკითხვა შეაქვთ უსტ ცილმში სტრაჟნიკების მიერ თორმეტი გადასახლებულების ცემასა და ძალმომრეობაზე. ამ თორმეტს შორის ერთს უკვე თავი მოუკლავს. **პოპროვსკი** ამბობს, რომ თვით ფაქტი ლაღადგებს თავისთავად და ამტკიცებს სიჩქარის აუცილებლობასო. სიჩქარის წინააღმდეგ გამოდის **ტიმოშკინი,** რომლის შეხედულებით შეუძლებელია მარტო საგაზეთო ცნობებზე დამყარება. 99 ხმის უმეტესობითი 61 წინააღმდეგ სისწრაფე უარყოფილ იქმნა. შეკითხვა კომისიას გადასცეს.

შემდეგ სამი პაწია კანონ-პროექტი მიიღეს, რომელშიც, სხვათა შორის, გამოითქვა სურვილი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ კანონის გამოცემის შესახებ.

იმ კანონპროექტის განხილვის დროს, რომელიც შავსა და ხმელთაშუა ზღვაში ორთქლმავალთა სწრაფ მიმოსვლას ეხება, **ვაჭრობის და წარმოების მინისტრმა** შესწორება შეიტანა, რომ სათათბიროს წინასწარ არ განსაზღვროს გრძელ-ვადიანი ხელშეკრულების საკითხი და თვით სავაჭრო მინისტრს მიანდოს უფლება შეეკრას რომელიმე კერძო საზოგადოებას გარემოებაია მიხედვით, სანამ თვით მთავრობა არ შეიმუშავებს ამ საქმეს. სამინისტროს დიდი ნდობა არა აქვს „რუსეთის ორთქმავალ საზოგ.“ და ესმის მისი ნაკლულევანებანი, მაგრამ შეუძლებლად სცნობს შესწყვიტოს თუნდ ერთი დღითაც კი რუსეთის ბაირაღებიანი გემების მიმოსვლა შორეულ აღმოსავლეთის ნაავთსაგურებში (ტაში მარჯნივ) მომხსენებელი **შეშმინცევი** ამტკიცებს, რომ „რუსეთის ორთქმ. საზ.“ ნამდვილი სამარეა რუსეთის აღებმაცემობის შავს ზღვაზე, მიტომ რომ სარგებელი თავისი განსაკუთრებული უპირატესობით და სისტემატიურად ღუპავს ყოველს კონკურენციი. მისი აზრით მიმოსვლას გზები შავს ზღვაზე მხოლოდ მთავრობის გემში უნდა იყოს (ცენტრის და ოპოზიციის ტაში). **გრაფი უვაროვი** უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს საზოგადოება ყოვლის შემწე აქციონერების წყალობით სარგებელს იღებს და მთელს თავის ძალას უცხოელ არმატორებთან ბრძოლას კი არ ახმარს, არამედ რუსი კონკურენტების განადგურებას. **ნიკოლსკი** და **ლერსე.** ემხრობა საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებას, **ბერეზოვსკის** კი მთავრობისას. მომხსენებელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ვაჭრობის მინისტრის შესწორებას. კანონპროექტი მიღებულ იქმნა კომისიის რედაქციით. შემდეგი სხდომა ხვალ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი.

საზღვარ-გარედ.

ნიუ-იორკი. თეთრ სასახლეში პრეზიდენტ ტაფტის კაბინეთში ვიღაც უცნობი შეიპარა. იგი დაპატიმრეს. მას რევოლვერი აღმოაჩნდა. დაპატიმრებულს სულით ავადმყოფობის ნიშნები ეტყობა.

სოფია. რუსეთიდან მომავალ მგზავრებს სამედიცინო ობსერვაციისათვის აქ ხუთ-ხუთ დღეს გაჩერებენ.

რომი. ვენეციის ნაფიცთა სასამართლოს განაჩენზე პრილუკოვმა, ტარნოვსკაიამ და ნაუმოვმა საჩივარი შეიტანეს საკასაციო სასამართლოში საქმე იდლისში გაირჩევა.

ვენა. დეპუტატთა პალატა. პოლონელებმა და უკრაინელებმა სამი ინტერპელიცია შეიტანეს გაზეთების ცნობების გამო, ვითომ უკრაინოფილები აგიტაციას ეწეოდნენ და გერმანიის ელჩი ლვოვში უკრაინელებს ფულით ეხმარებოდეს, რათა მოადგილედ პოლონელ ბობრჟინსკის მაგიერ გერმანელი დაინიშნოს.

ლონდონი. ასკვიტი და ლორდკანცლერი 3 ივნისს ეთათბირნენ ბალფურს და ლენსდოუნს ქვედა პალატაში. ბეჭდის ასოციაციის ცნობებით მომავალ კვირას მოხდება ორივე პარტიის წარმომადგენლების ფორმალური კონფერენცია კონსტიტუციონურ კრიზისის საკითხის გამო.

სოფია. ოსმალეთის მემკვიდრეს აქ ყოფნის დროს ალბანელთა ახალშენმა ადრესი მიართვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ დევნის მოსპობა მხარეში წესრიგს დაამყარებს. მცხოვრებლები ერთგულნი არიან ტახტისა და კონსტიტუციისაო.

ოსმალეთი

სტამბოლი. მიიღეს საზღვაო ბიუჯეტი. კამათის დროს დიდმა ვეზირმა განაცხადა: ჯერ-ჯერობით არ ვიცი სამხედრო გემებისთვის გადადებულ ხუთ მილიონს როგორ და რაში დავხარჯავთ; ყოველ შემთხვევაში ფლოტი დიდ სახელმწიფოებთან საქიშპოდ არ არის განზრახულიო.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატა. სამხედრო მინისტრი მაჰმუდ-შევკეთ ფაშა მოითხოვს ერთხმად მიიღონ სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი და ამით დაამტკიცონ პატრიოტიზმი. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ ძლიერი ჯარი ახალ მსხვერპლს მოითხოვს, ამიტომ 9,600,000 ოსმალურ გირვანქის გარდა 274 ათასი ჯარის კაცის შესანახად, შესაიარაღებლად და სხვ. საჭიროა კიდევ 4,800,000 გირვანქა. ოსმალეთი უნდა ძლიერი იყვეს, სთქვა ბოლოს მინისტრმა.

სალონიკი. 30 კაცისაგან შემდგარი ბერძნების რაზმი ბერძენ აფიცრის მეთაურობით ელასონის ახლოს საზღვარს გადმოვიდა. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარის-კაცების რაზმი. საბერძნეთის საზღვრებიდან ცნობა მოდის, რომ ტირნავოსში ჯარი იკრიბება და მანიფესტაციები იმართება, რომელზედაც ოსმალეთთან ომს მოითხოვენ.

სპარსეთი

თავრიზი. მთავრობამ მაგარ სასმელებზე გადასახადი დააწესა სპარსეთის ქვეშევრდომთათვის. სხვებს სასმელების გაყიდვის ნება არა აქვთ. ამის გამო შემდეგი ამბავი მოხდა: პოლიციის ფიდაებს უნდოდათ შეეპყროთ ოსმალეთის ქვეშევრდომი, სომეხი, რადგან იგი უბანდერალოდ ყიდდა არაყს. იგი ხელიდან გაუსხლტა და რევოლვერით დასჭრა პოლიციელი და ორი გამვლელი და რუსეთის გენერალურ საელჩოს შეაფარა თავი. რევოლვერის სროლაზე გამოვარდა რუსეთის ქვეშევრდომი სომეხი და პროტესტი განაცხადა პოლიციელების წინააღმდეგ—სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა პიროვნების ხელის შეხების უფლება არა გაქვთო. პოლიციელებმა თოფის კონდახებით სცემეს მას. რუსეთის ელჩის ბრძანებით იგი უგრძნობლად მიიტანეს საელჩოში. ექიმების სიტყვით მისი მორჩენა ძნელია. გამოძიება სწარმოებს.

რუსეთი

მინსკი. მოზირის მაზრის სოფელ ლახვაში ეს მეოთხე დღეა ბანკის მამულს ცეცხლი უკიდია. ცეცხლი მოდებული აქვს 800 დღიურს.

მოგილევი. როგაჩევის მაზრის სოფელ სბოროვში სულ ერთიანად გადაიბუგა 84 სახლი. ზარალი 54,000 მანეთს უდრის.

ვორონეჟი. ვორონეჟის ახლოს მეორე სკიფ-სარმატის საფლავების გათხრის დროს იპოვეს: ძველი ბერძნული ფორმის სასროლი შუბი, ისრები, პლასტიური ოქროთი მოქარგულ ჯავშნის ნაწილები, წვრილი ბურთის მსგავსი ღილები, უნაგირისათვის ბრინჯაოს მოსართავები, ხმლის ნატეხი, ადამიანის ჩონჩხის ძვლები და მრავალი სხვა.

ვარშავა. ვარშავა ვენის ლიანდაგის საგზურ გოოდისკზე ყუმბარა ესროლეს საერობო დარაჯთა უფროსს კაპიტან ალექსანდროვს, რომელსაც ხუთი დარაჯი ახლდა თან. მძიმედ დაიჭრა ოთხი დარაჯი. ერთი მათგანი უკვე გარდაიცვალა. ყუმბარის ნატეხით მსუბუქად დაიჭრა ალექსანდროვი. ამას გარდა ყუმბარის მსროლელმა მას რევოლვერი ესროლა და დასჭრა. მკვლელი მძიმედ დასჭრეს და შეიპყრეს. ამ საქმეს რადომში პოლკოვნიკ ვონსიაცკის მოკვლას უკავშირებენ.

უფა. გუშინ ზლატოუსტში ციხეში შვიდი პატიმარი თავს დაეცა სამ ზედამხედველს, იარაღი აყარეს და გაიქცნენ. მათ დარაჯები გამოედევნენ. სროლის დროს მოჰკლეს ერთი, მეორემ თავი მოიკლა. დაჭრილია ერთი დარაჯი და ცხენი. სამი შეიპყრეს, ორი მიიმალა.

გროდნო. თითქმის სულ გადაიწვა დაბა (დეპეშა არ გადმოგვცემს რომელი). გადაიწვა სხვათა შორის სამასწავლებლო სემინარია და ებრაელების თორა.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს ფინლიანდიის კომისიამ საერთო კრებას მოხსენება წარუდგინა. კომისია საჭიროდ სცნობს ფინლიანდიის კანონების კოდიფიკაციას. ამ კოდიფიკაციის კოსდენა საიმპერიო დაწესებულებებს უნდა დაეკისროს. შემდეგ იგი აქებს კანონპროექტს—იგი სრულად შეესაბამება სახელმწიფოს მიმწიფებულ საჭიროებათ და უმაღლესი დამტკიცების გარდა აღარაფერი სჭირიაო და წინადადებას აძლევს საბჭოს შეუსწორებლად მიიღოს იგი. საბჭო ამ კანონპროექტს 8 ივნისს განიხილავს.

ოდესა. ქალაქის საზოგადოებათა შესახებ საკრებულომ დახურა „რუსთა კავშირის საქველმოქმედო წრის“ საზოგადოება.

მელენკი. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას ნება დართოს, რომ ქალაქის ხარჯზე გახსნას მთავრობის ქალთა გიმნაზია.

მოსკოვი. სამხედრო სასამართლომ ყაჩაღობისათვის სამს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, სამს 12 წლით კატორგა, ხოლო ორი გაამართლა.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ უცნობისაგან 225,000 მანეთი მიიღო. ამ ფულით გამგეობამ შანიავსკის სახელობაზე უნდა ააგოს სახალხო უნივერსიტეტი.

რიგა. 1905 წ. გაფიცვაში მონაწილეობისთვის ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზის სადგურ ვალკის 11 მსახურს სასამართლო ორიდან ექვს თვემდე ციხე მიუსაჯა. მათ შორის სამი ინჟენერ-ტექნოლოგია.

რადომი. 3 ივნისს დღის ორ საათზე თავის ბინაზე თავისივე აგენტმა მოკლა ჯანდარმთა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვონსიაცკი. მკვლელმა და ერთმა მისმა ამხანაგმა იქვე თავი მოიკლეს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** კავკასიის უნივერსიტეტის მომწყობ კომიტეტის თავჯდომარემ სენატორმა ვატაციმ თხოვნით მიმართა ბაქოს, ერევნის, განჯის, ფოთის, სოხუმის, ალექსანდროპოლის, ელისავეტპოლის, ბათუმის, კავკასიის, ეკატერინოდარის, მოზდოკის, გროზნის, ყიზლიარის, ტემრიუკის, ეისკის, მაიკოპის, ანაპის და ნოვოროსიისკის ქალაქის თავებს. სენატორი ვატაცი სთხოვს, ხსენებულ ქალაქების თანხიდან ფული გადასდეთ კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად და აგრეთვე ყოველწლიური დახმარება აღმოუჩინეთ მას, რადგან მოკლე ხანში უნივერსიტეტის გახსნა ასეთ შეწირულებებზეა დამოკიდებული.

✦ **სატელეფონო სადგური.** შედგენილ იქმნა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის ცენტრალურ სატელეფონო სადგურის ახალ შენობისა. ამ პროექტის მიხედვით შენობა 60.000 მან. დაჯდება.

✦ **სასამართლოში.** გუშინ ქალაქის მესამე მომრიგებელ სასამართლოში ერთი პრინციპიალური საქმე გაირჩა. ქალაქის იურისკონსულტი გ. ზ. კანანოვი უჩიოდა ტრამვაის საზოგადოებას სამ კაპეიკზე რომელიც მისთვის, მომჩივანის აზრით, უკანონოდ გადაუხდევინებიათ ტრამვაის ვაგონზე. ტრამვაის საზოგადოების ინტერესებს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. მ. სეგალი. განაჩენს ამ საქმის გამო სასამართლო 8 ივნისს გამოაცხადებს.

✦ **საეჭვო კაცის შეპყრობა.** 4 ივნისს მაძებარმა პოლიციამ ტფილისის რკინის გზის სადგურზე შეიპყრო ტფ. მოქალაქე მოსე ელეზნიაკი, კახეთის ქუჩაზე მცხოვრები, რომელსაც 7 314 მან. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი აღმოაჩნდა. შეპყრობილმა განაცხადა, ნივთები პიატიგორსკში უნდა გამეგზავნა გასაყიდადაო. ნივთების ვაჭრობის ნებართვა ელეზნიაკს არ აღმოაჩნდა.

✦ **კახეთის რკინის გზა.** 3 ივნისს სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტს ერთხმად მოუწონია ფინანსთა და გზათა მინისტრების მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფ. თავად-აზნაურობას მიეცეს კონცესია კახეთის რკინის გზის გაყვანისა საობლიგაციო თანხის იმ პირობათა უზრუნველყოფით, რომელზედაც ხელი უწერია კონცესიონერთა რწმუნებულს.

✦ **სეირნობა.** დღეს, 6 ივნისს, ვერის სკეტინგ-რინაზე ქართველ ქალთა

ლეგენდა საუკუნო ასულისა*)

რამოდენიმე დღეს დაჰყო უდაბნოში მარტოდ-მარტომ. მზისაგან გავარვარებულს მუნჯ ქვებთა შორის, საფრთხილო და მოსარიდალ ღამის ჩურჩულში, იდუმალ და მიუწვდომელ ვარსკვლავთა გუნდის ქვეშ.

მხოლოდ შემდეგ მოვიდა აქა.

ამ მეამბოხე ქალაქში, საცა სცხოვრობდა სიცრუე და მოტყუება, ნაღველი და ხრწნილება, განსაცდელი და საცთური.

წყნარი და უცნაური, თითქოს არა ამ ქვეყნიური იგი ჰგავდა იმ უცხო წინასწარმეტყველს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოცნობილი და აღიარებული მხდალ გონების პატრონთა მიერ. ამიტომაც მოკრძალებულის ცნობის-მოყვარეობით შეჰყურებდენ მას და ელოდენ—რას გვეტყვისო.

ისიც მეტყველებდა.

იგი იჯდა მზის მიერ მოალერსებულს ძველ ტაძრის ქვებზე და ნელად და გარკვევით მეტყველებდა. გარს ერტყნენ შვილნი ამაოებისა: მოხუცნი და ვაჟკაცნი, ჭაბუკნი და ასულნი; ის კი მარტო-მყოფი, მახლობელი და შორეული მეტყველებდა თავის სათნო-მრისხანეს, სამუქარო-ალერსიან სიტყვებსა.

— დაუტევეთ ეგ ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობდენ მამები თქვენი, როგორითაც ცხოვრობთ თვითონ თქვენ. ეგ ცხოვრება კი არა, მშფოთარე ძილია, ბურანი, სიცრუის მეუფის მიერ მოვლინებული. იგი ეძიებს თქვენს დაღუპვას და დღისით და ღამით ქსოვს თვის ბადესა, ბადეს მიწიერ ცდუნებისას, რომ შეიპყროს თქვენი სული. კარგად ვხედავ მე: თქვენ ბჭეთა წინაშე სიკვდილი აღმართულა.

— ხოლო მე მოველ მისთვის განგიფანტოთ ეგ ცოდვილი ძილი. მტერი თვის ბადეს წყვდიადსა შიგან შლის, მე კი მზე ვარ ამ წყვიადის განმფანტველი. იგი, როგორც მტაცებელი მხეცი, ისე დაძრწის დედა-მიწაზე და სნთქავს სულთა, მე კი ისარი ვარ მტაცებელთა გულის მომწყლველი. იგი, როგორც სწრაფი გველი, ეგრე შესრიალდება ჩოლმე გულში და ეკლიან, მჩხვლეტავ ალერსით გულთ იმორჩილებს; მე კი ისა ვარ, ვინც ჩემის ტერფით გავუჭეჭყ იმას თავსა. მას მრავალი სახე აქვს, რადგან იგი მეფეა მატყუარობისა, მოდის ქურდივით ჩუმი და გამპარავი. მოდის, როგორც კანონი მეფისა რკინისაგან ჩამოსხმული, სიკვდილის მოტანი. მოდის, როგორც დიდება დამთრობი და აღმრევი გონებისა. მოდის, ვით სიმდიდრე ოქრო-ქსოვილებით მორთული, ნარნარ და სალუქ აბრეშუმის სამოსელითა. მოდის, ვით ღვინო მეწამული, ვით ქალი მშვენიერის თვალებითა, გამღვიძებელი სანეტარო ვნებათა ერეოლისა.

— ერიდეთ და ივლტოდეთ სიცრუის მეუფისაგან. იგი ყველგან არის და ყოველთვის. იგი თვით თქვენშივეა, რადგანაც ტაძარი სულისა თქვენ აქციეთ ტაძრად ეშმაკეულთა.

— ილტვოდეთ სიცრუის მეუფისაგან. ილტვოდეთ ყოველივე მისაგან, რამაც ნაზის ჯაჭვით მიგაბათ ამ ქვეყანას. დაუტევეთ დედა და მამა, მშობლები თქვენი, დაუტევეთ ძმანი და დები, ცოლი და შვილები და მოვედით ჩემდა! მე ვარ მამა თქვენი, ძმა თქვენი, ცოლი და შვილი თქვენი. მე მოგანიჭებთ ცხოვრებასა ეაოსსა. გასმევთ ისეთსა ღვინოს, ვერ დაიჭიროს თქვენმა მოძველებულმა ჭურჭელმა. მოგცემთ ისეოს საკვებს, რა კი მის გემოს გაიგებთ, აღარ მოგშივდეთ. შეგიყვანთ ისეთს ზეციურ სრა-სასახლეებში, სამარადისო ბედნიერების შენობებში, რომლებთანაც შედარებით, როგორც ოქროსთან, თქვენი მიწიერი ფუფუნება და განცხრომა სპილენძის ფლურად მიიჩნიოთ.

ესრეთ იტყოდა მეუდაბნოე.

და უგდებდა ყურს გულმოდგინებით ბრბო მოხუცთა და ვაჟკაცთა, ჭაბუკთა და ასულთა.

მოწოდების ცეცხლით იყო ანთებული სახე მეუდაბნოისა. გამხდარი და გამობრძმედილი, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი, მცხუნვარე, ცხელქართა მიერ დამწვარის სახითა, ვარსკვლავებივით უმანკო თვალებითა, იგი იყო ლამაზი არა ამ ქვეყნიურის, უცხო და ველურის დამმონავებელ სილამაზითა.

ქალებიც, მამაკაცთა მხრებზე გადმოყრდნობილნი, შესცქეროდენ მის სახეს ხარბად და იდუმალის აღტაცებითა. მხოლოდ, როდესაც იგი თავის ნაქნარს და მკვრივ მკლავებს შემკულს ძარღვებით ასწევდა ზევით და თავის სხივ-ცისკროვან თვალებს სინათლივით შემოავლებდა მსმენელთა სახეს, მაშინ ქალები თვალთ დაბლა ხრიდენ და მათი გულიც, ათრთოლებული ტკბილ-სანეტარო გრძნობებით, ძლიერად სცემდა. მკერდებიც, ვით თეთრად აქაფებული ზვირთები, უფრო ხშირად ადი-ჩამოდიოდნენ ტკბილის სულთქმითა და ღაწვებსაც განთიადის წითელი ალი ედებოდა.

იგი დადუმდა. რომელიღაც ქალის მზრუნველმა ხელმა თასით ღვინო გარეული გრილი წყალი მიაწოდა გახურებულ ყელის დასაამებლად. ამ დროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა და ვიღაც, ტლანქ ხელებისგან გამოდევნილი, მოკრძალებით და მორჩილებით წინ წამოდგა.

მეუდაბნოე ვერა ხედავდა ვინ იდგა მის წინ. დაღალულობით ქუთუთოები ჩამოხუროდა. მაგრამ მაინც თავისი მგრძნობიარე, მხურვალე და და აღელვებულ სხეულით გარკვევით იგრძნო, რომ მის წინ ვიღაც ნაზი, დამთრობი და უნებლიედ მიმზიდველი არსება იდგა.

მაშინ ნელ-ნელა აღაღო თვალნი.

ქალი იდგა, იდგა მის ახლოს თავ-დახრილი, ხელებ მთრთოლვარე, დაჭმუჭნულის ძვირფას სამოსელითა. თვალს ზევით-რ ახელდა, სახე ჰქონდა ფერ მიხდილი და ახალგაზდა, ბავშურად ნაზი და ღია ფერის ტუჩები მწუხარედ და საცოდავად უთრთოდენ. თრთოდენ აგრეთვე ტლანქის ხელით გადაღეღილი მარმარილოსავით მაგარი და მძიმე ძუძუები. თვითონ კი ქალი ეგრე მოკრძალებული და მდუმარე, თან მომლოდინე ჰგავდა მორცხვ პატარძალს პირველ-გზის მდგომსა თავის საქმროს წინაშე.

— მოძღვარო!—წარმოსთქვა ახლოს მდგომმა მოხუცმა, ხმაზე ეტყობოდა ცბიერი მოლოდინი გამარჯვებისა!—აი ქალი, რომელიც მეძავობაში დაიჭირეს. სხეულის სილამაზით, თვალთა სიმშვენიერით, ტკბილ-სანეტარო ცეკვით და მომხიბვლელის თვისი სიმღერით ჩვენს ჭაბუკებს უხვევს თვალსა და ურევს გონებას. ჩვენს შვილებს მტრის ბადეში ხვევს. თვითონ სატანა სადგურებს მაგის სხეულში. თვით მეუფე ჯოჯოხეთისა, უფალი სიცრუისა და გარყვნილებისა ბუდებს მაგაში! და არ არის ხსნა მისაგან, რადგან იგი ძლიერია და ცბიერი. რა უნდა ვიღონოთ, რომ არ შთავვარდეთ განსაცდელსა?..ჩვენ ვიცით ერთი კანონიერი საღსარი. ძველის ძველია, კურთხეული. ეს საღსარი ისრე სწორია და უტყუარი, როგორც თვით ღმერთი. ეგ არის მოკვდინება. ვისზედაც ვერ იმოქმედა ამ ქალის მიმზიდველობამ, ვინც არ იყო ცდუნებული მეძავისაგან, იგი იღებს ხელში ქვას და ესვრის დამნაშავეს... ხოლო სხეული მისი დაფლეთილი წვეტიან ქვებისაგან, ჭკარგავს თავის ეშმაკურს მშვენიერებას, თავის სულის დგმას; მშვენიერი სხეული, რომელიც აცთუნებდა მამაკაცებს, იქცევა მხოლოდ უძრავ და საზიზღარ გვამათ მგელკაცთა და ქოფაკთა კერძად. ესრეთ გაქრება ძალი მტრისა.

— შენ რას იტყვი, მოძღვარო?

ვინც ახლო იდგა სმენად გადიქცა და მოუთმენლად მოელოდა წინასწარმეტყველის სიტყვებს. მხოლოდ შორთ მდგომნი დრტვინავდენ და აღვსილ იყვნენ გულის წყრომით:

— ჩაიქოლოს ეგ გარყვნილი!

— სიკვდილი მეძავს!—მოისმოდა მათის ჯგუფიდან.

— რას იტყვი შენ, მოძღვარო?—როგორც ქალი ისე შეპარვით შეეკითხა კიდევ მოხუცი და თვალებმა ცბიერად გაუღიმეს.

დრტვინვა მიწყნარდა. მცხუნვარე მზის სხივით აღსავსე მდუმარებაში მძიმე ლოდინის სულთქმა-ღა გაისმოდა.

მაგრამ არა ჩქარობდა წინასწარმეტყველი. იგი თავ-ჩაღუნული იჯდა კიბის საფეხურზე და მოყვანილის, ტლანქ-მუშაობას მიუჩვეველი ნაზის თითით გახურებულ ქვიშაზე ახირებულ და საკვირველ სახეებს ხატავდა.

მესამეჯერ კიდევ შეეკითხა მეუდაბნოეს მოხუცი. ეხლა კი მის ხმას სრული გამარჯვება ეტყობოდა.

— მოძღვარო, შენ რას იტყვი?

მეუდაბნოემ თავი აიღო, გადახედა ხალხს და ნელა და უბრალოთ წარმოსთქვა:

— ვისაც თქვენგანს ქალისათვის ნდომით არ შეუხედნია, მან აიღოს და ჩაქოლოს ეგა.

სთქვა ესა და თავ-დახრილმა კვლავ ქვიშაზე იწყო საიდუმლო ნიშანთა გამოსახვა.

შემკითხველთ კი ჩაყლაპეს სირცხვილი დამარცხებისა და შეუმჩნევლათ და ქურდულათ გაიპარენ წკეპლით ნაცემ ქოფაკებივით კუდ-ამოძუებულნი.

ძალე ტაძრის წინ, დაცალიერებულს მოედანზე, ორნი-ღა დარჩნენ:

წინასწარმეტყველი და მეძავი ქალი.

*) თარგმანი.

სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება დიდი სეირნობა საქველმოქმედო ბაზრით. სასეირნო საღამოს პროგრამმა საინტერესოდ არის შედგენილი. მოწვეულია საამხედრო მუსიკა და საზნადარი. დასაწყისი ნაშუადღევის 5 საათზე.

✦ **წერა-კითხვის გამავრცელებ საზოგადოება.** ხუთშაბათს, 3 ივნისს, გ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრთა სხდომა მოჰხდა, რომელზედაც განხილულ იქმნა რამდენიმე მიმდინარე საქმე. სხვათა შორის, გამგეობამ მოისმინა საზოგადოების ბორჯომის განყოფილების „გამგეობის ორის წევრის ვ. ყიფიანისა და ნ. ჯომარჯიძის განცხადება. ესენი სთხოვდნენ გამგეობას, რადგან ბორჯომის განყოფილების გამგეობის წევრთა შორის დიდი უთანხმოება სუფევს, რასაც შეეძლება განყოფილებისთვის ცუდი შედეგი მოჰყვეს, ამიტომ საჭიროა დანიშნოთ კაცი ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლადაო. კრებამ საქმის გამოძიება დაავალა გამგეობის წევრს პეტრე სურგულაძეს. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა შემწეობა აღმოუჩინოს რკინის გზის დეპოს სამკითხველოს 10 მან. წიგნების მიცემით. დასასრულ არჩეულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად ალ. ბ. მდივანი, ნაცვლად ი. ს ღულაძისა, რომელმაც გამგეობის წევრობას სრულიად თავი დაანება.

✦ **ქართ. დრამატიული საზოგადოება.** უკანასკნელ თავის კრებაზე დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მომავალ სეზონისთვის ქართულ დრამატიულ დასში მოიწვიოს მსახიობი ქალი ნ. ნ. ჩარგაძე.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 4 ივნისს პოლიციელებმა ქალაქის მეათე საპოლიციო უბანში შეიპყრეს ტფ. მოქალაქე იაკობ ალექსანდრეს ძე მესხიშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **გაზ. „ფონი"-ს შეჩერება.** როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდროებით შეუჩერებიათ ადგილობრივი კვირეული გაზეთ „ფონი"

✦ **სახალხო აუდიტორია.** დღეს სცენის მოყვარეთა ჯგუფი ავჭალის ქუჩის სახალხო აუდიტორიაში ქართულ წარმოდგენას გამართავს, წარმოდგენილი იქნება „სამხედრო ბანაკში" დრამა 4 მოქმ. ბეირლენისა, თარგ. ა. იმედაშვილისა. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

✦ გამოვიდა ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების" შორიგი მე-22 ე ნომერი, შემდეგის შინაარსით: ახალი გზა, ახალი ძალა—მეთაური; ახალბედა პოეზია—იგ. გომართელისა ჩემი შენიშვნები—შალვა დადიანისა, რვაქცია (ოთხ მოქმედებიანი კომედია) აკაკისა; ახალგაზრდა პოეტთა ბედი—ნარისა; თავგების ცხენ (ინგილოური დეკენდება) ზ. ედიდისა; დიქცია მ. ჯაბადრისა; სიყვარული—ვანო ბარგუდისა; მოგვა დრო—კ. ფოცხოვედისა; დექსები—გ. ტაბიძისა, სევდისა, კიკნა ფშაველისა; სათეატრო ამბები და სხ.

✦ ქალაქის სხვა და სხვა უბანში მოდიციამ 4 ივნისს შეიტვრო 30-დე უპასპორტო.

ქუთაისის რამ-რუმე.

მართალია პატარაა ჩვენი ქალაქი, სამაგიეროდ მრავალ საქვეყნო და საკულტურო საქმეებით ისეა გაბერილი, რომ თავის ქერქში ველარც-კი ეტევა.

რა გნებავთ?

მარგანეცის მრეწველთა კრებები? თავად-აზნაურთა კენჭობია? საერთიერთო ნდობის ანგარიშები? ბანკის არჩევნები? სამეურნეო სხდომები?... არის, ყოველივე არის და ბენაკიბას სიტყვებით რომ ვსთქვათ: ...„ყოველივე ყოფილა .. დიაღ წინედაც ყოფილა".

იცვლება დრო და ჟამი, არ იცვლებიან მხოლოდ ჩვენი ძველი ნაკლულევანებანი: პირიქით მათ რიცხვს თან ახალი ემატება.

ახალი დროა—ძველი საზომით იზომება. ცხოვრების სხვა პირობებია — ძველებურად ფასდება. ენერგიული მოქმედებაა საჭირო—ჩვენ სულ ვკარგავთ საქმიანობის უნარს. ჩვენებურ დაწესებულებათა უმრავლესობა როსტანის „შანტეკლერს" მაგონებს. როგორც ამ განთიადის მომღერალს ეგონა, რომ მზის ამოსვლა ლაჟვრად ცაზედ მხოლოდ მისი „ყიყლიყოს" წყალობით ხდებოდა, სწორედ ასეთივე მამლაყინწური წარმოდგენა აქვს ზოგიერთებს თავის მოქმედებაზე და კრებებზე მუდმივ ხრინწიანის ხმით გაჰყივიან: „არ მომკვდარვართ, მხოლოდ გვძინავსო", ხოლო ის ავიწყდებათ, ძილს რო გამოფხიზლება აღარ მოსდევს—სიკვდილს ეძახიან.

ბევრი თქმულა ქუთაისის სილამაზეზე და არა ნაკლები მის უსუფთაობა—უწესრიგობაზე. საკმაოა მიუახლოვდეს უცხო ადამიანი ქუთაისს, გადაავლოს თვალი მწვანე არე-მარეს, რომ წარმოსთქვას თავის გულში: აი ქალაქი, მშვენებით აღსავსეო, მაგრამ გადმოდგამს თუ არა სადგურზე ფეხს, მიხვდება თავის ნაადრევ აღტაცებას.

დავანებოთ ყველაფერს თავი და ქალაქის შუაგული ავიღოთ.—ქალაქის ბაღი,—ეს ერთად ერთი ადგილია სასეირნოდ, საპაემანოთ, საოცნებოთ, საარშიყოთ, საალეგროდ, და კიდევ სამრავალ საჭიროდ, როგორც ჰხედავთ მოვალეობა დიდი ჰქონია, ხოლო ყურადღება კი არავითარი. ყოველ კვირა-უქმე დღეებში სეირნობა—ლატარია იმართება სხვა და სხვა მიზნით, ხალხი ხშირად ნაკლები ესწრება და ეს არც გასაკვირველია. ბაღში წამსვლელი მაგარი ფილტვების პატრონი უნდა იყოს; რომ იმ მტვრის კორიანტელმა არ დაახრჩოს, რომელიც ქალების კაბის შლეიფებისაგან სდგება რა ძნელია ამ გვარ საგანგებო სეირნობის დროს მაინც ორიოდე ბოჭკა წყალის ყიდვა ბაღის ბილიკების მოსარწყავად. ათასგვარ უთავბოლო ხარჯთან ამ მეტად საჭირო საქმისათვის 2—3 მან. რომ დაიხარჯოს არაფერია. ბევრი მტვრის შიშით არ ეტანება ხოლმე, ამ დროს ბაღს. მტვერს თუ გადაურჩება ჩვეულებრივად ბაღში ჩამოჯდომას და შესვენებას ტყუილუბრალოდ ნუ სცდილობს. მთელ ბაღში რამოდენიმე ფეხმოკცეული სკამი დგას, რომლებზედაც ერთ ადგილის შოვნას თავისებური „მკლავეობა" სჭირია.

როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას გამოუწერია თურმე ახალი სკამებისათვის რკინის ფეხები, მაგრამ დახეთ ბედს, უფულობისა გამო ვერ გამოუტანიათ და სადგურზე ჰყრია, სულ-კი რამდენიმე თუმნის საქმეა!.. ამრიგად ეყრება ეს რკინის ფეხები სადგურზედ მანამდე, სანამ ბაღში სიმწვანე სიყვითლეთ არ გადაიქცევა და ძველი სკამების ძირში შემოდგომის სოკოები არ ამოჰყოფენ თავს...

***

ზოგის ბამბა ჩხრიალებს ზოგის-კაკალიც არაო, ზოგი თავის საქმიანობაზე ბაქი-ბუქობით ყურებს გამოგვიქედს, ზოგი-კი ნაკლებად ქაქანებს, მაგრამ შედარებით უფრო ნაყოფიერად მოქმედებს.

ამ დღეებში ქუთაისის ვაჭრებსა და ხელოსნებს ბავშვებზე მზრუნველმა საზოგადოებამ მოწოდება დაურიგა და დახმარება სთხოვა, ქუთაისშიც, რასაკვირველია, როგორც ყველგანაც არიან ობოლი და ღარიბ-ღატაკი ბავშვები. ეს ბავშვები ეჩვევიან ყოველგვარ სიავგლახეს ქუჩებში და საეჭვო ადგილებში ტანტალს. ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას ეს მეორე წელიწადია რაც დაარსებული აქვს სასწავლებელი, სადაც 105 უპატრონო ბავშვი სწავლობს წერა კითხვას. მომავალში საზოგადოებას სურს საკუთარ ადგილზედ დაწყებული შენობა დაამთავროს. საქმე გააფართოოს და წერა-კითხვასთან ერთად ნხვა და სხვა ხელობის შესწავლასაც მიაქციოს ყურადღება.

საზოგადოება ითხოვს თანამგრძნობთ ჩაეწეროს წევრებად (წლიურად 8 მან.) და შეგროვონ წაკითხული გაზეთები და აფიშები.

ვინც გაითვალისწინებს თუ რა დიდი სიკეთეა ამგვარი პაწიების კეთილ გზაზედ დაყენება, რა ძვირფასია ამ გვარი ობლებისათვის წერა-კითხვას შეძენა, ეჭვს გარეშეა ამ მოწოდებას გაუწოდებს დახმარების ხელს.

ჯაფარ-ფაშა.

პატარა შენიშვნები

2

აკაკის პატარა მოთხრობიდან „სიკვდილი", (ან შეიძლება: „სიზმარი") ერთი სურათი მაგონდება: აკაკი სიზმარათ ვითომ სამოთხეში გაჩნდა: სდგას იგი თამარის წინ და თავისებური აზრიან ხაზ-გასმით უამბობს ყოველივე სავალალო მოვლენას აწინდელ საქართველოს ცხოვრებიდან. ამ დროს უცებ გამოვარდება ერთი მოხუცი, რომელიც თურმე საბა სულხან ორბელიანი აღმოჩნდა და თამარს მოახსენა: „ბატონო, მე რომ სიბრძნე-სიცრუის წიგნში ყია—მყრალი მყავს გამოყვანილი ეგ ის იქნება, თორემ ღმერთმა ნუ ჰქნას შენი საქართველო აგრე დაცემულიყოსო". ჰკრეს პანღური აკაკის და ისევ ამ ცოდვილ ქვეყანაში გადმოაგდეს, ეგ მომაგონა ქართველ სტუდენტობის გარშემო ამტყდარმა კამათმა. ბევრს არ სჯერა, რომ ჩვენი სტუდენტობა აგრე დაცემულიყოს, როგორც გამოყვანილია ფოცხვერაშვილის ვოდევილში.

ყველამ ვიცით, როგორი აეროზაური გამოიწვია მთელს რუსეთში პურიშკევიჩის მიერ იმ ახალგაზრდობის უშვერმა ლანძღვამ, რომელიც მთელი რუსეთის სასოებას და იმედს შეადგენს, ვიცით რა მადლობით და აღტაცებით შეუერთა მთელმა პროგრესიულმა რუსეთმა თავისი გულის წყრომა პროგრესიულ დეპუტატთა გულისწყრომას. რამ ააშფოთა აგრე ყველა? პურიშკევიჩის სიცრუემ, ცილის წამებამ თუ სხვა რამემ? კათედრაზე რომ ვინმე მსუსხავი ასულიყო, თუნდ-თითონ ბილიუკოვი ან როდიჩევი, ან ვინმე მსუსხავი ენის პატრონი და ბიბლიურ წინასწარმეტყველისამებრ სტუდენტობის ნაკლულოვანებანი ემხილებინა, მერწმუნეთ. მაშინ არავითარს გულისწყრომას ადგილი არ ექნებოდა. მართლადაც სტუდენტობა კასტა კი არ არის, რომელიც ყოველივე გავლენის გარეშე იდგეს! სტუდენტობაც საზოგადოების ერთი ნაწილია, მისი შვილია და ყოველივე კარგი თუ ცუდი მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში იმასში მოსჩანს, იმაში იხატება. დიდი ხანია ნათქვამია: „სტუდენტობა საზოგადოების ბარომეტრიაო", და მართლადაც, ამა გადავიხედოთ ამ საზოგადოებაში, ათასნაირი „სიყვარულის ლიგები" „სანინისტები", ჰომოსექსუალიზმის, სადიზმის და სიტიტვლის პოეზია, განა ეგ ჩვენი დროის სინამდვილე არ არის?!

ბევრნაირად ხსნიან ამ მოვლენას, ბევრს სხვა და სხვა მიზეზებს ასახელებენ და მათში თითქმის საყოველთაოდ მიღებულია, რომ რევოლუციის უდღეურობამ, მისმა დათრგუნვამ საოსწარკვეთილებამდე მიგვიყვანაო. იმედები გაგვიცრუვდა, გულის წადილმა ფრთა ვერ გაშალა და დაგუბებულმა ვარამმა გარყვნილებაში ამოხეთქაო. ყოველივე ეგ შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ არ უნდა გვავიწყდეს, რომ ზემო ჩამოთვლილი ნიშანნი უზნეობისა, გარყვნილებისა მხოლოდ 1905 და 1906 წელს არ შექმნილა. სანინი 1905 წელს კი არ დაბადებულა, თორემ იგი ორი წლის იქნებოდა და არა 30-35 წლის კაცი-არცობაშევის „საშკა" 1905 წლამდეც დიდი ხანია გარყვნილ ქუჩებში დაძრწოდა.

თუ რევოლიუცია კატასტროფიული გარდაქმნაა არსებულისა და გაჩერებულის ტემპით მისწრაფება იმისაკენ, რისაკენაც აქამდის ჩუმად და უჩინრად მივიზლაზნებოდით. მაშინ, ადვილი მისახვედრია, რომ რომელიმე შესამჩნევი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში რევოლუციის შემდეგ მომხდარი უწინაც ჩასახული იყო.

ორნაირად სარგებლობენ რევოლუციის ანალიზით ერთ-მეორის მოწინააღმდეგე უკიდურესი მიმართულებანი. უკიდურესი მემარჯვენენი მეფისტოფელებრ დახარხარებენ მიწაზე განართხულ რევოლუციას, ზედ დალურსმული ჩექმებით შემდგარან და უკურთხებენ: რევოლუციამ ბრბოს ველურ ინსტიქტებს გზა გაუხსნა, სულიერადაც გააღატაკა და ხორციელად გარყვნილების მორევში გადასტყორცნაო. იმათი აზრით მთავრობამ აღვირი წახსნა ველურ ინოროდცებს და „ეიდკებს"-ო. (მენშიკოვის ტერმინით). ისინი სიამით ეძლევიან გამარჯვებულია სიხარულს და ნიშნის მოგებით დასცინიან ინტელიგენციას, როგორც განვითარების, ცვლილების და წარმატების მსახურთ. პურიშკევიჩიც ამიტომ ჰხარობს ყოველი იმ დეფექტებით, იმ მეცდომებით, რომელთაც სადმე თვალს მოჰკრავს. მეორე მხრით, პროგრესიული ნაწილი საზოგადოებისა იმიტომ აღფუფუსხავს ხოლმე თავის ცხოვრების დეფექტებს, აღიარებს შეცდომებს, რომ აღმოჩენილ ავადმყოფობას რამე წამალი გამოუნახოს და რისი გასწორებაც შეიძლება, გასწორდეს იგი კი არა ხტუტეტა, არამედ გულ-მოკლული დასტირის მას, თავს-დასტრიალებს როგორც მგლოვიარე მოჭირნახულე. ავადმყოფისათვის თითქმის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს; რომელიმე გამოუკვლეველი ავადმყოფობა ძლეულია თუ კი გამოიცნობენ რაში მდგომარეობს იგი.

ჩვენთვის ეხლა საინტერესოა, მართალია თუ არა, რომ ჩვენი სტუდენტობა დაწვრილმანებულია, განუვითარებელი, ზნეობითაც შელახული. ძლიერ მარტივი და ცხადი საკითხი, რომ არ დავაბნელოთ და საქმე არ გავაზვიადოთ დეე თითოეული ჩვენგანი დაეკითხოს თავის თავს: რისი გაკეთება შეუძლია მას (ჩვენ კრიტერიუმად საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა გვაქვს აღებული), რა აინტერესებს, რისთვის ემზადება მომავალ ცხოვრებაში, რა ცოდნა შეუძენია რუსულ უნივერსიტეტებში (რასაკვირველია, აქ მარტო შენდელეევის ცხრილი და რომის უფლების ისტორია არა გვაქვს სახეში)? ენა ჩვენ არ გვისწავლია და არ ვიცით; ქართულ ცხოვრებას არ ჩაგვკვირვებივართ და ვერც ვიცნობთ; საკუთარი ზურგის კანი არ აგვწვია და ჩვენი ქვეყნის მომავალს არ დავუფიქრებივართ, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რამდენია ჩვენგანი რომ უცხო ქვეყნების ცხოვრებას იცნობდეს, თვალს ადევნებდეს ან პოლიტიკას და ან მეცნიერების მიმდინარეობას. რასაკვირველია, თამამად შეგვიძლია მივუთითოდ რამდენიმე სტუდენტზე, რომელთაც ჩასწვდომია გულში ჩაუქრობელი ნაპერწკალი, რომელნიც წარსულ ცხოვრების ღელვას პირველ რიგებში გამოუყვანია, მაგრამ ესენი თითებზე დაითვლება. ეჰ—რაღა გავაგრძელოთ, როდესაც ერთი გულუბრყვილო კითხვაც გადასწყვეტს საკითხს: რატომ არსადა სჩანს 1000-ზე მეტი ქართველი სტუდენტობა?

ზორჩ—ელ.

მოზეგრილი ამბები

დ. ხონი. წარსულ ხანებში აქ ჩამოვიდა სახალხო სკოლების სარეგიზიოდ სახალხო სკოლების ინსპექტორი მაუნიკოვი. სხვათა შორის, მაუნიკოვი შესულა სარეგიზიოდ ოვსდიდის ორ-კლასიან სასწავლებელში, რომელიც დ. ხონში იმყოფება. ამ სკოლაში სწავლა სწარმოებს თურმე 1881 წელს გამოცემულ სამოსწავლო კენგმის მიხედვით. ინსპექტორს არ მოსწონებია, რომ ამ სკოლის მოსამზადებელ კანყოფილებაში ბირველ წელს რუსული წერა-კითხვა არ უსწავლებიათ, მკვანდელი და მთელი ტანით ათრთოლდა.

წინასწარმეტყველი კი განზე გაიხია, აღაპყრო ხელი და ნელა, სევდიანისა და უსაზღვრო ნაზის კილოთი წაილაპარაკა:

— გასწი და იყავ უხრწნელი!

ქალი შეიკუმშა, მოიკუნტა, უკან დაიხია და უხმოდ და გველივით სწრაფად შესცურდა სიბნელეში, მხოლოდ ერთი კი გაიელვა მისმა სამოსელმა.

წავიდა.

მიყუჩდა ყოველივე. ღამეც თითქო გაქვავდაო ვერცხლებრივს ოცნებაში. კვლავ იწყეს ბროლივით გამჭვირვალე გალობა წყლის წვეთებმა.

—

მას შემდეგ საუკუნოებმა განვლეს.

ათასი თაობა ადამიანთა გადაესახლა მამებთა ქვეყანაში. ათასი თაობა მოელის სიკვდილს საუკუნოების ქვეშე. არა ერთი და ორი წინასწარმეტყველი იყო მათ შორის.

მაგრამ ქალი დახსნილი მის მიერ უკვდავია.

მისგან უარყოფილი, მისგანვე კურთხეული იგი დაძრწის ქალაქის ქუჩებში.

ღამის წყვდიადში, სისხლის ფრად ანთებულს ცის ქვეშ, განათებულს, მოოქვრილს დარბაზებში.

მუდამ მშვენიერი, მუდამ ახალგაზდა, მუდამ-დღე ქვებით ჩაქოლვილი და მუდამ-დღე კვლავ აღმდგარი.

ყოველგან მყოფი, საშინელი, დამნაშავე, მადლიანი, თავისთან მატარებელი აღტაცებისა და სიკვდილისა.

მეძავი ქალი.

შალვა დადიანი.

ეს ქალი ისევ ისე იდგა შეშინებული, ნაზი და მშვენიერი. მზის შუქი, შტოების ჩრდილთა მიერ დანაწილებული, მის მორცხვათ მომრკიალე გულ-მკერდს მხურვალე და ათრთოლებული უკოცნიდა.

— ვერავინ ვერ განგიკითხა, ქალო? ჰკითხა წინასწარმეტყველმა თავაწეულმა.

ქალმა არა უპასუხა-რა, ნელა ასწია თავი და მხოლოდ მაშინ პირველად შეხედა მას. თან მადლობით და ალერსით აღსავსე თვალები მიაპყრო თვალებს განდეგილისას.

დინჯი და უმანკო თვალები იმისი, რომელსაც არასოდეს არ შეუხედნია ქალისთვის ნდომითა, ეხლა შეუერთდა ქალის მიბნედილ თვალებს.

— გასწი და იყავ უხრწნელი!— ნელა, ნაზის სევდით წარმოსთქვა წინასწარმეტყველმა.

ამის პასუხათ ქალმა მოკრძალებით, ნაზათ გაიღიმა. თითქო იცოდა, რომ ის, რაც მიუცილებელი იყო, გარდაუვალი, მოხდა უკვე და მისსა და განდეგილს შორის, მეძავ-ქალსა, რომელიც ჰყიდის სიწმინდეს სიყვარულისას და წმინდანის, რომელიც ვერ იცნობს ამა ქვეყნიურს ცდუნებასა, ამათ შორის მტკიცე, განუყოფელი კავშირი გაიბა.

ქალი ნელა მიბრუნდა და გაუდგა გზასა.

დიდი ხანია მზე ჩავიდა და მშფოთარე ქალაქს მშვიდობა, განსვენება მოეფინა, მაგრამ ის მაინც, აღელვებული და მგრძნობიარე, ისევ ისე მიმოვიდოდა. აი, მთებს უკან, უკვე მოჰყო თავი მილეულმა მთვარემ და ოთხ კედლებს მიაბნია თავისი ჯადოსნური, ნაზი შუქი. მაგრამ ის მაინც მიდის. გრძელი ჩრდილი დაადგა თეთრ გზას და მასთან ერთად მიდის ისიც წინ. ჩრდილი იმეორებს მის საქციელს და მუნჯს, საფრთხილო დაცინვას ემზგავსება მას. უნდა რომ გაიქცეს. უმატა ნაბიჯს. ჩრდილი კი მაინც არ შორდება, მასთანვე მირბის, მასთანვე ჩქარობს. ახირებულს მის მოხაზულობაში კი თრთისა და ძიგძიგებს სიცილი.

გზა ცალიერი იყო, არავინ არ ჰეჭანებდა, მხოლოდ ქოფაკი ძალლები დაშინებულ და მხდალ აჩრდილებივით დაძრწოდენ აქა-იქა.

განდეგილი გასცდა ქალაქის კიდელებს. კიდევ უფრო უდაბური და ზღაპრული იყო ყოველივე მის გარეშემო. მქრალი და უძრავი ნათელი მთვარისა თვით მიწის სახღვრამდე გადაქიმულიყო.

მარცხნით ვენახებს ჩაეშავებინათ იქაურობა და თეთრ გზასაც და თვით განდეგილსაც სრულიად ფარავდენ.

ღამეც თითქო შეჩერებულიყო ჯადოსნურ ოცნებით შეპყრობილი და არ უნდოდა წასვლა, თითქო მოელოდა მას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

მაგრამ უეცრად მეუდაბნოე შეკრთა, შეჩერდა.

მას მოესმა ნელი და ნაზი, ბროლივით გამჭვირვალე ხმა სადღაც მოჩუხჩუხე წყლის წვეთებისა. ეს ისე მოული.ნელი იყო, ისე უცნაური და ჯადოსნური, რომ ჰგავდა მუსიკას წარმოშობილს მთვარის შუქთაგან. აგრეც უნდა ყოფილიყო: უდაბური ველი, მიძინებულ სინათლეში ჩაფლული, ნარნარათ მძგერი, არავინ იცის სად მოჩუხჩუხე წყლის წვეთები.

თბილმა და ტკბილმა ნეტარებამ დაიპყრო მთელი არსება წინასწარმეტყველისა. მან აღაპყრო თვალები ზეცად და პირველად თავის სიცოცხლეში ატირდა. მაგრამ ცრემლები არა სწვავდენენ, არა სდაგავდენენ, ისინი იყვნენ ეგრეთვე მსუბუქნი, გამჭვირვალენი და სასურველნი, როგორც ის წყლის წვეთები, რომლებიც ეგეთის მომხიბლავის ხმაურობით წკანწკარებდნენ სადღაც მიდამოში.

განდეგილმა აიღო თავი და მიმოიხედა. მარცხნით ვენახების ბოლოს რაღაც საგანი გამოსჩანდა ბუნდოვან-შავად. ეს ამაღელვებელი ხმებიც იქიდან მოსცურავდნენ.

წინასწარმეტყველი წავიდა იქით. თან და თან უფრო ირკვეოდა საიდუმლო საგანი და წყლის წვეთებიც უფრო ხმიანად გალობდნენ თვის საგალობელსა.

მივიდა და შეჩერდა წყაროსთან. იქვე ქვაზე, მთვარის ნათელ შუქში სრულიად გახვეული, თეთრის სამოსელით იჯდა ქალი. იჯდა უძრავად თითქო მარმარილოს ქანდაკება არისო და მხოლოდ თვალები, რომლებშიაც ზოგჯერ გაიელვებდა მთვარის სხივები, სცოცხლობდნენ მგზნებარე სიცოცხლითა

ამ თვალებით, ნარნარა-მშვენივრებით წინასწარმეტყველმა შეიცნო მის მიერ დახსნილი მეძავი ქალი.

იგი მიუახლოვდა ქალს და ჩახედა სახეში. ქალის თვალებმა მიიპყრეს მისი ყურადღება. შემდეგ დაბალის ხმით, ლმობიერად წარმოსთქვა:

— ელოდები, ქალო? ვის ელოდები?

მოქნილის ტანით ჩუმად წამოდგა ქალი, გადადგა მისკენ ერთი ნაბიჯი, თავი მის თავთან მიიტანა ისე ახლოს, რომ მისი მხურვალე სულთქმა სწვავდა განდეგილის ბაგეპირს და შემდეგ ვნებით აღვსილმა ნელა წაჩურჩულა:

— შენ! შენ გელოდები!

განდეგილმა უკან დაიხია შავის სევდით შეპყრობილმა.

— ნუ გეშინიან! — წარმოსთქვა ქალმა და თვისი ხელი შეახო მის ხელს.

განდეგილის ხელი შეკრთა ისე, თითქო ცეცხლის ალი წაეკარაო.

— მე წამოველ იქიდან!— ამბობდა—ამიერიდან შენი ვარ. მხოლოდ შენი. მარტო შენი-

ნელა და ლამაზად, მოხდენილად გაშალა ქალმა თვისი სამოსელი და თავით ფეხამდე სრულად გაშიშვლებული, ბრწყინვალე თვისი სითეთრითა, წარმტაცი, როგორც მომაკვდინებელი ცოდვა ეგრე იდგა მის წინაშე.

ელოდა.

მხოლოდ, როდესაც გაბრუნდა წინასწარმეტყველი და თავ-დახრილი განშორდა წყაროს, ქალმა ნელა წამოიკვნესა, თავი და სხეული დაიფარა სამოსელითა და გაქვავდა ეგრე გულ-მოწყლული.

მაგრამ უეცრად შეინძრა, გაიქცა, მუხლებზე დაეცა წმინდანის წინ, ფეხები დაუფარა თვისი თმების სამურველითა და დაილაპარაკა მგზნებარემ და შეწუხებულმა:

— განა სამუდამოდ მხოლოდ შენ ერთს არ გეძლევი? განა მე მადლობელი არა ვარ? მაშ რად წამართვი ყოველივე და არ მომეცი არაფერი? რად დაიკავ ეს ჩემი სხეული თუ არ გინდა, რომ ძღვნად მიიღო?

— წარიღე იგი!

— ხედავ, აი ჩემი თმები! შეგმოსავ ამ თმებით, როგორც სურნელოვან კვამლითა; ისეთ სანეტარო და ტკბილს, ისეთ მგზნებარე ვნებათ-ღელვის ნექტარს გასმევ, ძველი, გამომდგარი ღვინო დაგავიწყდეს. ჰა, ჩემი მკერდი, ჩემი ძუძუები, ეგენი ისე მკვრივი და მოქნილი არიან, როგორც იალქანი ქარით გავსილი, ხოლო ისე მძიმე, როგორც გაცოცხლებული მარმარილო.

— დახარე შენი თავი, მშვენიერო, მოაყრდნე ჩემს მკერდს. ჩემი მკერდი ზღვის თბილ ზვირთებსა ჰგავს და შენი თავი კიდევ მსუბუქ ნავსა. შენს სხეულს შემოვბლანდავ ჩემის თმების ძაფებს და განგისვენებ ჩემის ფერდებთა რწევითა. ჯერ არასოდეს ეგრე არავინ მომნდომნია, როგორც შენ მინდიხარ. ჯერ არავის მთლად არ ამოუცლია სრული ნეტარება ჩემის სხეულისა, მაგრამ შენკი, მხოლოდ შენ, ჩემო ღმერთო, გაგემგე ამ ნეტარებას. რადგან შენ მიყვარხარ თვით სიკვდილამდის.

ესე ეუდრებოდა ქალი წინასწარმეტყველს და ფორთხვიდა მის მუხლებ ქვეშ მოქნილ და მშვენიერ გველივით.

მაგრამ ჩუმად იყო წინასწარმეტყველი.

და მდუმარებდა უდაბნო.

უარის ყოფის სიცივე მიუქროლა ქალს უდაბნოს ღამემ.

მაშინ კი ნელა წამოდგა ქალი, ანთებული წყვდიად ღამის ჭალივით, მიბნედილი მომაკვდავ ზამბახივით.

— არ გინდა?—პირდაპირ სახეში შესჩურჩულა მან.

განდეგილის გაშუქებულ თვალებს შეამჩნია რაღაც ლმობიერი შერაცხვა, ცოდვა ეგრეთ ოდენ ბოროტი, ეგ ეგრეთ ოდენ ბოროტი, ეგ ეგრეთ ოდენ ბოროტი, ეგ

რამ მასწავლებლებს უმასუხნიათ: ჩვენ სწავლას ვაწარმოებთ 1881 წელს გამოცემულ სამოსწავლო გეგმის მიხედვითო. ეს სამოსწავლო გეგმა სავალდებულოდ გახდა ჩვენში კაკასიის ნამესტნიკმა და ჩვენც ვალდებული ვართ ამ წესით ვაწარმოოთ სწავლის საქმე, და თუ თქვენ მაინც ითხოვთ, რომ ამ წესით არ ვაწარმოოთ სწავლის საქმე იმ შემთხვევაში მოგვეცით დაბეჭდილი სხვა ნაირი სამოსწავლო გეგმაო. მაგრამ ეს სუფთად უთქვამს: ეს გეგმა ძველთა ძველია, ამ სამოსწავლო გეგმის მიხედვით არამც თუ თქვენ, არამედ ერთ-კლასიანი სკოლებიც კი არ აწარმოებს სწავლის საქმესო. თქვენ აქ მიუხედავად იმისა, რომ თვითეულ განყოფილებას ერთი მასწავლებელი ჰყავს, რესულ წერა-კითხვას მაინც არ ასწავლით პირველი წლიდანო. სხვა ერთ-კლასთან სკოლებში, სადაც სამი განყოფილებას ერთი მასწავლებელი ასწავლის, პირველ წლიდანვე აწყებენ ბავშვები რესული წერა-კითხვის სწავლას, მიბაძეთ მადლიანის სკოლას, რომლის გამგე ბ-ნი ბიდანეიშვილი პირველ წლიდანვე აწყებინებს რესულ წერა-კითხვასო რის გამოც სწავლის საქმე კარგათ აქვს დაყენებულიო. ბ-ნი მაყნიკოვი გულნატკენია წასულა ხონიდან. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ თუ კი ინახულა მან ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებული სამრევლო სკოლა იქ ის დიდ მეცადინეობას იგრძნობდა. რადგან ამ სკოლის გამგე ბ-ნი ალ. მაჭარაძე მოწაფეებს რესულ წერა-კითხვას პირველ წლიდანვე აწყებინებს. შობის უქმეებს შემდეგ რესულ ენის სამოსწავლო წიგნებს აუიდგენებს მოწაფეებს და რესულ წერა-კითხვას ასწავლის. სამეუხაროა მეტად, რომ ასეთ საქმეს სჩადის ბ-ნი ალექსანდრე მაჭარაძე, რომელსაც სახოგადოებაში „ცნობილი მოდგაწის“ სახელი აქვს გავარდნილი. ბ. მაჭარაძე თავის თავს ქართველების მოყვარულად სთვლის და საქმით კი ასეთ შეუწყნარებელ უკუდმართობას სჩადის.

ოვანდიდის ორ-კლასიან სკოლის მასწავლებლები შარჯველ დახვდნენ ბ-ნ მაყნიკოვს. მადლიანში ეტყობა, საქმე კარგად ვერ არის დაყენებული. იქ გაგზავნილი მოწაფეები მასწავლებლის კითხვაზე კარგად უგებენ, მაგრამ სხვამ თუ კი მისცა კითხვა მასუხს ვერ აძლევენ. მუნჯური მეთოდით სწავლებისაგან მეტს ვერც კი მოსთხოვს ადამიანი. აზეპირებინებენ ბავშვებს და კი არა სცდილობენ შესწავლილის შინაარსი კაკაბებინონ.

აქილესი.

—

ს. გურჯანი. (სიღნაღის მაზრა). „სახალხო გაზეთის“ მე-17 ე ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ვ. კარბელაშვილის წერილი ს. გურჯაანის შესახებ წერილის აუტორს მიზნათ დაუსახავს, ერთის მხრივ, შეიტანოს ვითომ შესწორება და დამატებები ამას წინ. ოთ გურჯანისვე შესახებ კაზ. „დროებაში“ მოთავსებულ წერილებში, მეორეს მხრივ, სცდილობს დაამტკიცოს ხალხის—კლასობის—თვალში ინიციატორნი იმ ვვარ სიმპატიურ და სასარგებლო საქმისა, რომელიც არის ქ. შ. წ. კ. ფილიალურ განყოფილების ვახსნა. იმის მაგიერ, რომ შესწორებები შეიტანოს და ფაქტები დაასახელოს, აუტორი სრულს უცოდინარობას და ბუნებრობას იჩენს. აუტორი გვეუბნება, რომ გურჯაანში 200 კ. სომეხთა მცხოვრები არა იქნება, არამედ 100 კომლამდის, მაშინ როდესაც ოთხმად 1908 ადწერისა სობჩობა გურჯაანში სულ 53 კაცი და 42 ქალია. მეორე შესწორება შეეხება სართულიან სახლების რიცხვს, რომელსაც ბ. კარბელაშვილის აზრით უდრის 26 სახლს; ალბად მას გურჯაანის მსოფლიო ერთი უბანი აქვს მხედველობაში, მაგ. ხეების უბანი, ს